საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 28 მაისი, 2012 წელი

გადაწყვეტილება № 3

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში
2012-2013 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე
მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესი

„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[29] პუნქტის, 18-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52[1]-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის №125 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესი, თანახმად დანართისა.

2. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი **თ. მეიშვილი**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2012 წლის 28 მაისის № 3 გადაწყვეტილების
დანართი

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისთვის სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესი

თავი I. მისაღები კონტინგენტი

1. სსიპ – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში ხელოვნების უნივერსიტეტი) 2012-2013 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი განისაზღვრა 41 ერთეულით.

2. მისაღები კონტიგენტი განაწილდა შემდეგნაირად:

ა) სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტზე სულ 13 ადგილი, მათ შორის:

– ტექსტილის დიზაინი – 3 ადგილი;

– მხატვრული ტელეფილმის რეჟისურა; თოჯინების თეატრის რეჟისურა; დრამის რეჟისურა – 10 ადგილი;

ბ) მუსიკის ფაკულტეტზე სულ – 8 ადგილი:

– ფორტეპიანო (პედაგოგი); აკადემიური სიმღერა (პედაგოგი); ეთნომუსი-კოლოგია – 8ადგილი;

გ) განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სულ 20 ადგილი, მათ შორის:

– ხელოვნების თეორია და ისტორია (ძველი ქართული ხელოვნების ისტორია) – 5 ადგილი.

– ხელოვნების თეორია და ისტორია (თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია) – 5 ადგილი.

– ხელოვნების მენეჯმენტი – 5 ადგილი;

– საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და შრომითი სწავლების მასწავლებელი – 5 ადგილი.

თავი II. სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის წესი

1. მაგისტრატურაში მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ბაკალავრები და მათთან გათანაბრებული პირები.

2. მუსიკის ფაკულტეტის სპეციალობებზე მაგისტრანტობის კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ მუსიკის ბაკალავრის (მასთან გათანაბრებული) დიპლომი. განსაკუთრებულ შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი საგანმა-ნათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შუამდგომლობისა და ფაკულტეტის დეკანის თანხმობით.

3. ხელოვნების უნივერსიტეტში საშემსრულებლო სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები გამოცდა ტარდება სპეციალობაში (შემოქმედებითი ტურები).

4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად 2009 წლიდან დაწესდა საერთო სამაგისტრო გამოცდა (სსგ). ხელოვნების უნივერსიტეტში სსგ-ს აბარებენ მხოლოდ ძველი ქართული

ხელოვნების ისტორიის, თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის; ხელოვნების მენეჯმენტის; საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და შრომითი სწავლების მასწავლებელისა და ეთნომუსიკოლოგიის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველნი.

5. სპეციალობაში გამოცდისა და შემოქმედებითი ტურების ჩატარების ცხრილს ადგენს მიმღები კომისია.

6. ხელოვნების უნივერსიტეტში სპეციალობაში გამოცდისა და შემოქმედებითი ტურების შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. 51 ქულაზე დაბალი ნიშნავს ჩაჭრას. მუსიკის ფაკულტეტზე 60 ქულაზე დაბალი ნიშნავს ჩაჭრას.

7. ხელოვნების უნივერსიტეტში საშემსრულებლო მიმართულებით მაგისტრანტობის კანდიდატი არჩეული სპეციალობის მიხედვით გადის შემდეგ ტურებს:

ა) მხატვრული ტელეფილმის რეჟისურის, დრამის რეჟისურისა და თოჯინების თეატრის რეჟისურის სპეციალობებზე - წერა კომისიის მიერ შემოთავაზებულ თემაზე;

ბ) ტექსტილის დიზაინის სპეციალობის მაგისტრანტობის კანდიდატს ევალება შეასრულოს ქსოვილის კომპოზიციის ესკიზი (მასალა – აკვარელი, გუაში) კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე, სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები გაივლიან დამატებით შემოქმედებით ტურს (4 - საათიანი ეტიუდები ხატვასა და ფერწერაში).

გ) საფორტეპიანო (პედაგოგი) სპეციალობაზე:

• დიდი ფორმის ნაწარმოები (სონატა, ვარიაცია ან ციკლი (პროგრამის შესრულების ხანგრძლივობა 30-35 წუთი)).

• ტესტირება ზოგადი პედაგოგიკის, მუსიკის ისტორიისა და მუსიკის თეორიის საკითხებში.

დ) აკადემიური სიმღერის (პედაგოგი) სპეციალობაზე:

• 4 (ოთხი) სავალდებულო ნაწარმოები (სხვადასხვა სტილისა და ეპოქის);

• ტესტირება ზოგადი პედაგოგიკის, მუსიკის ისტორიისა და მუსიკის თეორიის საკითხებში.

8. თეორიული მიმართულებით მაგისტრანტობის კანდიდატი არჩეული სპეციალობის მიხედვით აბარებს გამოცდას სპეციალობაში:

ა) ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის; თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის; საბაზო და საშუალო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და შრომითი სწავლების მასწავლებელის სპეციალობებზე - მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორია;

ბ) კულტურის მენეჯმენტის სპეციალობაზე - კულტურის ისტორია;

გ) ეთნომუსიკოლოგიის სპეციალობაზე:

• ხალხური სიმღერის რამდენიმე მუხლის აუდიოჩანაწერის მოსმენა და მისი დიალექტისა და ჟანრის განსაზღვრა (პასუხი იქვე უნდა შემოწმდეს და გასწორდეს, რომ გამოცდის მომდევნო ნაწილები სწორად წარიმართოს);

• მოსმენილი მუხლების ნოტირება;

• თეორიული ანალიზი იმ მუსიკალური დიალექტისა, რომელსაც ნოტირებული სიმღერა ეკუთვნის;

• თეორიული ანალიზი ნოტირებული სიმღერის ჟანრისა ქართულ მუსიკალურ ფოლკლორში (მისი დიალექტების მიხედვით);

• ნოტირებული სიმღერის შესაბამისი დიალექტისა და ჟანრის სხვადასხვა კუთხის ნიმუშების შესრულება სიმღერით (ყველა ხმის მღერით);

• ტესტირება ზოგადი პედაგოგიკის, მუსიკის ისტორიისა და მუსიკის თეორიის საკითხებში.

9. მაგისტრანტობის კანდიდატების ნუსხა, რომელთაც მოიპოვეს ხელოვნების უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლება, ქვეყნდება გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ უნივერსიტეტის მხრიდან მიწოდებული შემოქმედებითი ტურების შედეგების გათვალისწინებით.

10. ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მაგისტრატურის აკადემიურ საფეხურზე მობილობა შესაძლებელია სწავლების მეორე წლიდან.

11. უნივერსიტეტი აღიარებს სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში ჩარიცხვის წესს.

თავი III. სპეციალობაში გამოცდისა და შემოქმედებითი ტურების ჩატარების წესი

1. მაგისტრანტობის კანდიდატი გამოცდებზე უნდა გამოცხადდეს ნახევარი საათით ადრე. თან უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

2. გამოცდებზე მაგისტრანტობის კანდიდატს ეკრძალება მობილური ტელეფონის შეტანა.

3. ხელოვნების უნივერსიტეტში სარეჟისორო, ფორტეპიანოს და აკადემიური სიმღერის სპეციალობების შემოქმედებითი ტურების მიმდინარეობების სამე-თვალყურეოდ გამოცდები გადაღებული იქნება ვიდეოფირზე. ვიდეომასალა შეინახება მიმღებ კომისიაში და შესაძლებელი იქნება მისი გამოყენება მოთხოვნის მიხედვით.

4. მაგისტრანტობის კანდიდატთა განცხადებები მიიღება 2012 წლის 03 სექტე-მბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით.

5. ხელოვნების უნივერსიტეტში შესარჩევი ტურები და გამოცდები სპეციალო-ბაში ჩატარდება 20 სექტემბერიდან 29 სექტემბრის ჩათვლით.

6. შემოქმედებით ტურებს შეიძლება დაესწრონ დამკვირვებლები, რომელთა რაოდენობის განსაზღვრა, დანიშვნა და შემოქმედებით ტურებზე განაწილება ხდება რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტით.

7. გამოცდების მიმდინარეობისას, დამკვირვებლის სტატუსის მქონე პირი იმ შემთხვევაში არ დაიშვება გამოცდაზე, თუ:

ა) ნებისმიერი სახით, პირდაპირ და უშუალოდ არის დაინტერესებული ჩასატარებელი გამოცდების შედეგებით;

ბ) პირი, რომლის ოჯახის წევრი (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირები) მაგისტრანტობის კანდიდატია;

გ) დამკვირვებელს ეკრძალება მაგისტრანტობის კანდიდატისათვის დახმარება ან ხელის შეშლა;

დ) თუ აღმოჩნდა, რომ დამკვირვებელი არ აკმაყოფილებს „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებით გათვალსიწინებულ მოთხოვნებს, კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის სხვა პასუხისმგებელი პირი უფლებამოსილია დაატოვებინოს მას გამოცდა.

8. შემოქმედებითი ტურების შედეგები ცხადდება (იკვრება ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას) უნივერსიტეტში, შესაბამისი ტურის ჩატარებიდან 1 დღის ვადაში და განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

9. ტურების შედეგები სააპელაციო კომისიაში შეიძლება გასაჩივრდეს:

ა) შედეგების გამოცხადებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში;

ბ) განხილვას ექვემდებარება წერილობითი სახით შემოტანილი სააპელაციო განაცხადი. განაცხადის შემოტანის უფლება აქვს მაგისტრანტობის კანდიდატს.

გ) სააპელაციო კომისია უფლებამოსილია შეცვალოს საგნობრივი კომისიის გადაწყვეტილება, თუკი მიიჩნევს, რომ შეფასება არაობიექტურია.

დ) სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება ცხადდება სააპელაციო განაცხადის შეტანიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

10. შემოქმედებითი ტურების საბოლოო შედეგები მოთხოვნის შემთხვევაში იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში.

11. ჩარიცხული მაგისტრანტობის კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს დიპლომის დედანი და გამოცხადებულ ვადებში გააფორმოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან.

თავი IV. სპეციალობაში გამოცდის, შემოქმედებითი ტურების ორგანიზებასა და შეფასებაზე უფლებამოსილი ორგანოები

1. საბუთების მიღებას და გამოცდების ჩატარების ორგანიზების მიზნით რექტორის ბრძანებით იქმნება საუნივერსიტეტო კომისია.

2. შემოქმედებით ტურებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებისათვის ყოველ საგანში იქმნება საგნობრივი კომისია, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს რექტორი.

3. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სააპელაციო კომისია, რომელსაც მაგისტრანტობის კანდიდატი მიმართავს შემოქმედებით ტურებთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო ან გაუგებარი საკითხის გასარკვევად.

4. სააპელაციო კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით.

თავი V. წარმოსადგენი საბუთების ნუსხა

მაგისტრატურაში სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

• განაცხადი;

• პირადობის მოწმობის ასლი.;

• ბაკალავრის დიპლომის (მასთან გათანაბრებული) ასლი ან უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული ცნობა, რომ სწავლობს ბაკალავრიატის დამამთავრებელ კურსზე (უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს თან უნდა ახლდეს აღიარების შესახებ დოკუმენტი);

• ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების სერთიფიკატი (თეორიული მიმართულების სპეციალობებზე);

• სპეციალობაში გამოცდისა და შემოქმედებითი ტურების საორგანიზაციო ხარჯებისათვის წარმოდგენილ საბუთებს უნდა დაურთონ „კორ - სტანდარტ ბანკში“ გადახდილი თანხის (20 ლარი) დამადასტურებელი ქვითარი;

• 2 ფოტოსურათი 3 X 4-ზე;

• მიწერის მოწმობა (ვაჟები);

• ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი, თუ დოკუმენტი/დოკუმენტები უცხო ენაზეა შედგენილი.

სწორია: